



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს #22 დადგენილებით
„ 24, „ აპრილი” 2018 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

06102

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას 14

ვებ გვერდი : zssu.ge

ზუგდიდი
2018 წელი

I. სახელწოდება: კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

II. სარეგისტრაციო ნომერი: 06102-3

III. პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის პროფესიული სტანდარტი

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

VI. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან კერძო სტრუქტურაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, ქსელური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების განხრით. აგრეთვე შეუძლია იმუშაოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან იყოს პროფესიული მასწავლებელი.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექმნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნა; შეეძლება ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მოსალოდნელი რისკების და პრობლემების წინასწარ განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი ანალიზის გაკეთება და ოპერატიული რეაგირება.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ქსელური ინფრასტრუქტურის გამართვა
- ქსელური ინფრასტრუქტურის მუშაობის უზრუნველყოფა
- შიდა კაბელიზაციის და ქსელური ინფრასტრუქტურის დაგეგმვა
- ქსელური უსაფრთხოების ნორმების დანერგვა და დაცვა

X. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
1. ინფორმაციული წიგნიერება ²	3	6.გაცნობითი პრაქტიკა- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	2	22. ტექნიკური ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები -1	6
2. მეწარმეობა ³	3	7. საწარმოო პრაქტიკა-კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	12	23. ტექნიკური ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები -2	4
3. ინგლისური ენა	5	8. პრაქტიკული პროექტი-კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	6	24. ტექნიკური ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები -3	4
		9. მონიტორინგის და ინციდენტების აღმოჩენის სერვისები, უსაფრთხოების საფუძვლები	4	25. Linux ოპერაციული სისტემის საფუძვლები	3
		10. ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება	4	26. Microsoft Wondows Server ოპერაციული სისტემის საფუძვლები	3
		11. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლების საფუძვლები(Static, RIP, EIGRP, OSPF)	6		
		12. მეორე დონის პროტოკოლები და ტექნოლოგიები	8		
		13. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი (OSPF,EIGRP,Redistribution)	8		
		14. ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების უსაფრთხოება	8		

		15. შიდა და გარე კომუნიკაციები, უსაფრთხო კავშირები და WAN ჩართვები (VPN, NATPAT, MPLS Applications)	5		
		16. მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი BGP	4		
		17. არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი	6		
		18. IT-პროექტებისმენეჯმენტი	3		
		19. ქსელის საფუძვლები, კომპონენტები და აპარატურა, უსადენო ქსელის საფუძვლები	5		
		20. IPv4 IPv6 ადრესაცია და ქსელის ქვექსელებად დაყოფა	4		
		21. მეორე დონის პროტოკოლების და ტექნოლოგიების საფუძვლები	5		
სულ:	11	სულ:	90	სულ:	20

XI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოცულობა: 121 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოცულობა: 151 კრედიტი (დანართი 4-ქართული ენის მოდული A2; -ქართული ენის მოდული B1)

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე

არა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ხანგრძლივობა: 26 სასწავლო თვე

XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რაზეც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-14 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XV. პარტნიორი ორგანიზაციების სია:

1. შპს „ახალი ქსელები“
მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას ქ. N5-ა
2. შპს „ორდუნეტი“
მისამართი: ზუგდიდი რუსთაველის #74

დანართი 1 - მოდულები

დანართი 2 – სასწავლო გეგმა 1 (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)

სასწავლო გეგმა 2 (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)

დანართი 3-პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 4-ქართული ენის მოდულები

